საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბესარიონ ალავიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	10	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	13	**20**
წერის უნარი	20	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	**5**
პროფესიული აქტივობები	5	**5**
ქულათა ჯამი	81	**100**

სახელი, გვარი: [illegible]

თარიღი: 25.11.2021 [illegible]

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
გიორგი გოგინაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, **ბესარიონ ალავიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „ორგანული კანონი“) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) წევრის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების წესს; კერძოდ, კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს თითოეული წევრი, კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებს ქულებით ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამავე კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. ამასთან, საბჭოს თითოეული წევრი კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას ხელმძღვანელობს ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი და 35^1 მუხლის მე-15 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნებით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1/207 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო **ბესარიონ ალავიძემ.**

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული), სპეციალობით მუშაობის 22-წლიანი, მათ შორის, მოსამართლედ მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. ამასთან, ბესარიონ ალავიძე სამოსამართლო

უფლებამოსილებას ახორციელებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2011-2021 წლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისთვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციითა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებებით.

ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით/36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. შესაბამისად, წარმოგიდგენთ კანდიდატ **ბესარიონ ალავიძის** კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასების დასაბუთებას.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი შემდეგი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

1.1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის – პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვ.

ბესარიონ ალავიძეს კოლეგები ახასიათებენ როგორც კეთილსინდისიერ, პატიოსან, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნებით აღსავსე პიროვნებას.

ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატი გულწრფელი, პრინციპული და წესიერი პიროვნებაა.

კანდიდატს აქვს მიმდინარე სასესხო ვალდებულებები და დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. კანდიდატს დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებელს.

1.2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით ბესარიონ ალავიძე დამოუკიდებელი, ობიექტური, სამართლიანი და შეუვალი პიროვნებაა. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ბესარიონ ალავიძე თავისუფალია წინასწარ შექმნილი განწყობებისა და დამოკიდებულებისგან, იგი ყოველთვის ცდილობს იმსჯელოს შესაძლო სტერეოტიპებზე, რათა ხელი არ შეეშალოს ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

ბესარიონ ალავიძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და/ან შემომწირველი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებელს.

1.3. პიროვნული და პროფესიული ქცევა

ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და

იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

კოლეგების შეფასებით, ბესარიონ ალავიძე გამოირჩევა პიროვნული და პროფესიული ქცევით; კერძოდ, რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ მშვიდ, გაწონასწორებულ, კოლეგიალურ პიროვნებად. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატს შესწევს უნარი დაუღალავად გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყოველი დეტალი, ყურადღებით მოუსმინოს კოლეგების მოსაზრებებს და ეთიკურად და დასაბუთებულად გამოხატოს საკუთარი პოზიცია მაშინაც კი, თუ იგი არ არის საქმეზე მომხსენებელი მოსამართლე.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ბესარიონ ალავიძის მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, კანდიდატის მიმართ, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ მოიპოვება.

საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, კანდიდატი მოსარჩელედ მონაწილეობდა ერთ ადმინისტრაციულ დავაში:

- ✓ დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, დიპლომის ნამდვილობის დადასტურება და მაგისტრის ხარისხთან გათანაბრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებელს.

1.4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვ.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, კანდიდატი სარგებლობს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ასევე ზოგადად იურიდიულ წრეებში. ბესარიონ ალავიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ინფორმაცია უკავშირდება მის მიერ განხილულ საქმეებს, მათ შორისაა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის, პაპუაშვილი-ბლადაძის, „ღვინის ქარხნის", „პროკრედიტ ბანკის", თავდაცვის სამინისტროს შესახებ საქმეები და სხვ. ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა ინფორმაცია ბესარიონ ალავიძის დიპლომთან და ფეისბუქ-პოსტთან დაკავშირებით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებელს.

1.5. ფინანსური ვალდებულება

ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბესარიონ ალავიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ ვლინდება შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მახასიათებელს.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე სრულად დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ **ბესარიონ ალავიძე,** ორგანული კანონის 35^1 მუხლის თანახმად, **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემდეგი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

ბესარიონ ალავიძემ წარმოადგინა მის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი ზედმიწევნით კარგად იცნობს სამოქალაქო სამართლის ზოგად და სპეციალურ ნორმებს, ხოლო პროცესუალური უფლებების ჭრილში იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დანერგილ სტანდარტებს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა საკმარისად ისაუბრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მის მიერ განხორციელებულ სასამართლო პრაქტიკასთან და დადგენილ პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებით. კანდიდატმა არსებითად მართებულად განმარტა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებით დაცული

უფლებების შინაარსი და მათ შორის არსებითი სხვაობა. ასევე, ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია ევროპული კონვენციის მე-16 დამატებით ოქმთან დაკავშირებით.

კანდიდატმა იმსჯელა ადმინისტრაციული წესით პირის უკანონოდ დაკავების შემთხვევაში ზიანის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, თუმცა აღნიშნულ საკითხზე კანდიდატი არ იცნობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. კანდიდატმა ვერ განმარტა ადმინისტრაციულ სამართალში პრევენციული დაცვის ღონისძიებებთან, ვერ განმარტა არბიტრაჟის საქმისწარმოების პროცესში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თავისებურებები. საყუარადღებოა, რომ კანდიდატმა სრულფასოვნად ვერ ისაუბრა სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ არსებით და მნიშვნელოვან საკონსტიტუციო ცვლილებებზე, ბესარიონ ალავიძემ სურვილი გამოთქვა უზენაეს სასამართლოში არჩევის შემთხვევეაში ასევე გარდა სხვა პალატებისა სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მუშაობის შესახებ, თუმცა კანდიდატმა ვერ განმარტა განსხვავება გამოძიების წარმოებას და სისხლისსამართლებრივ დევნას შორის, ვერ განმარტა განსხვავება სისხლის სამართალში ცრუ ჩვენებასა და ცრუ დასმენას შორის, ვერ განმარტა სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა შეფასების სტანდრტები და ეტაპები სამართალწამოების სხვადასხვა ეტაპზე, ასევე სამართლის თეორიიდან ვერ განმარტა სამართლის ნორმის გამოხატვის ფორმები ობიექტურ სინამდვილეში, ასევე ვერ განმარტა საკმარისად და სრულად სამართლის ნორმის სტრუქტურა და სახეები და ცნება სამართალი ჯერარსული მოვლენა და განსხვავება სამართალს და ბუნების კანონებს შორის.

კანდიდატმა ვერ იმსჯელა კონტიტუციაში მუდმივი ანუ დაცული უფლებების არსებობის მიზანზე, გადასინჯვის წესის მიხედვით მოქნილ და მყარ კონსტიტუციებზე და სხვა მსგავს საკითხებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, ბესარიონ ალავიძეს უნდა მიენიჭოს ამავე კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **20** ქულიდან **10** ქულა.

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების

დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

ბესარიონ ალავიძის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მათი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, კანდიდატი გამოირჩევა გადაწყვეტილების კარგი დასაბუთებით როგორც წერილობით, ასევე ზეპირი მსჯელობის დროს.

საჯარო მოსმენის პროცესზე ბესარიონ ალავიძემ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე განავითარა დასაბუთებული და სრულყოფილი მსჯელობა. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში დაფიქსირდა გარკვეული უზუსტობები. კერძოდ, კანდიდატმა ამომწურავად ვერ განმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე მოთხოვნის უარყოფის საფუძვლები. კანდიდატმა დამაჯერებლად ვერ ისაუბრა მესამე პირის უფლებებზე შებრუნებული უზრუნველყოფის საკითხის ჭრილში, კანდიდატმა სრულყოფილად ვერ იმსჯელა ადმინისტრაციულ პროცესში ინკვიზიციურობის პრინციპზე, ასევე, კანდიდატმა ვერ იმსჯელა ადმინისტრაციულ პროცესში ახლად აღმოჩენილ/გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების თავისებურებებზე, მათ შორის სამოქალაქოსამართლებრივი კანონმდებლობისგან განსხვავებულ დანაწესზე. კანდიდატი არ იცნობს აღნიშნულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის უახლეს პრაქტიკას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, ბესარიონ ალავიძეს უნდა მიენიჭოს ამავე კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **20** ქულიდან **13** ქულა.

2.3. წერის უნარი

ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

ბესარიონ ალავიძემ წარმოადგინა 9 სასამართლო გადაწყვეტილება, რომელთა გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს გასაგებად, ნათლად, სამართლებრივ დოკუმენტს არ ტვირთავს არამიზნობრივი

მსჯელობით. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი უთითებს, რომ ბესარიონ ალავიძე გამართული იურიდიული ცნებებით ამზადებს გადაწყვეტილებებს, გამოყოფს მთავარ საკითხებს. რეკომენდატორის შეფასებით, კანდიდატი მხარეთათვის გასაგებ ენაზე და იურისტისათვის მნიშვნელოვანი განმარტებების სახით აყალიბებს იმ სამართლებრივ დასკვნებს, რომლებიც სასამართლომ მტკიცებულებათა ურთიერთშეპირისპირებისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, ბესარიონ ალავიძეს უნდა მიენიჭოს ამავე კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **20** ქულიდან **20** ქულა.

2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი

ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვ.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ ბესარიონ ალავიძე აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, ფლობს კომუნიკაციისა და განსხვავებული აზრის მშვიდად მოსმენის უნარებს. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატს აქვს მთავარ საკითხებზე სწრაფად ორიენტირების, სამართლებრივი საკითხის არა მხოლოდ ვიწროდ განსჯის, არამედ სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის მოსალოდნელი შედეგის პერსპექტივიდან მსჯელობის უნარი.

კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართულად მეტყველების, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოცემს ნათლად და მკაფიოდ, თუმცა დასმულ კითხვაზე პასუხის არცოდნის შემთხვევაში კანდიდატი ავლენს დაბნეულობას და უყურადღებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, ბესარიონ ალავიძეს უნდა მიენიჭოს ამავე კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **15** ქულიდან **13** ქულა.

2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში

ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

რეკომენდატორები ბესარიონ ალავიძეს ახასიათებენ პუნქტუალურ და შრომისმოყვარე პიროვნებად, რომელსაც აქვს სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი. ერთ-ერთი კოლეგა აღნიშნავს, რომ კანდიდატს აქვს სამართალწარმოების მონაწილე პირებთან თანასწორი და თავაზიანი მოპყრობის, მხარეთა შორის მორიგების წარმოებისა და მოსალოდნელი შედეგების გასაგები ენით განმარტების უნარი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საანგარიშო პერიოდში საანგარიშო პერიოდში (2018 წლის 1 იანვარი - 2021 წლის 1 იანვარი) ბესარიონ ალავიძის წარმოებაში არსებულ და განხილულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 872. გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ წარმოებაში მიიღო და განიხილა 174 კერძო საჩივარი, 77 შუამდგომლობა, 14 განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, 14 საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო და 9 განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე. აღნიშნულ პერიოდში ბესარიონ ალავიძემ განიხილა 18 სისხლის სამართლის საქმე და 1 ადმინისტრაციული პალატის საქმე. თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მოსამართლეს 956 დღეში დასრულებული აქვს 1181 საქმე (დღეში საშუალოდ 1,2 საქმე), რაც მიუთითებს კანდიდატის ორგანიზებულობასა და შრომისუნარიანობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, ბესარიონ ალავიძეს უნდა მიენიჭოს ამავე კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **15** ქულიდან **15** ქულა.

2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შემენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შემენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

ბესარიონ ალავიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები და ტრენინგები ბავშვის უფლებების, სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში რელაციის ტექნიკის გამოყენების, საერთაშორისო შრომის სტანდარტების, მხარდაჭერის ინსტიტუტის დანერგვის პოზიტიური ასპექტებისა და გამოწვევების საკითხებზე და სხვ. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ კანდიდატი სისტემატურად ზრუნავს თვითგანვითარებაზე, მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერანციასა და ტრენინგში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კოლეგის შეფასებით, კანდიდატი ყოველთვის მზადაა ახალი ცოდნის შესაძენად და მის გამოსაყენებლად პრაქტიკულ საქმიანობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, ბესარიონ ალავიძეს უნდა მიენიჭოს ამავე კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **5** ქულიდან **5** ქულა.

2.7. პროფესიული აქტივობა

ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვ.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ ალავიძე ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ დისკუსიებსა და შეხვედრებში, სადაც ქართველ და უცხოელ კოლეგებს უზიარებს საკუთარ არგუმენტირებულ მოსაზრებებს ცალკეულ პრობლემატურ საკითხებზე, სასამართლოს პრაქტიკის განვითარებისთვის. საგულისხმოა, რომ კანდიდატი ეწევა

სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. კერძოდ, იგი არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარებისა და სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალურ საკითხებზე პრაქტიკული სახელმძღვანელოს თანაავტორი. ბესარიონ ალავიძე ამჟამად არის სამართლისა და მართლმსაჯულების ტრენინგ ცენტრის ტრენერი. იგი 2011-2015 წლებში, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. ამასთან, კანდიდატი თანაავტორია სალექციო კურსის - „კომუნიკაციების სტანდარტები სასამართლო სხდომის დარბაზში“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლით შეფასებისას, ბესარიონ ალავიძეს უნდა მიენიჭოს ამავე კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური **5** ქულიდან **5** ქულა.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:
ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **81** ქულით, რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის (100 ქულა) **81**%-ს შეადგენს.

გიორგი გოგინაშვილი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

25 11 /2021 წელი